

აქტივ ფლორა ბები
საინფორმაციო ბუკლეტი
Lactobacillus rhamnosus GG ATCC 53103

პრობიოტიკი

არ წარმოადგენს სამკურნალო საშუალებას.

დიეტური დანამატი განკუთვნილია ახალშობილების, ჩვილების, ბავშვებისა და მოზრდილებისათვის.

შესაძლებელია მისი გამოყენება დღენაკლულ ბავშვებში და დაბადებისას დაბალი წონის მქონე ახალშობილებში.

გამოიყენება კუჭ-ნაწლავის ტრაქტში სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სასარგებლო ბაქტერიების რაოდენობის გაზრდის მიზნით.

აქტივ ფლორა ბები შეიცავს *Lactobacillus rhamnosus* GG ATCC 53103 ბაქტერიების ცოცხალ კულტურებს, რომლების გამოყენებაც უსაფრთხოა, რაც დადასტურებულია მრავალი კლინიკური კვლევით.

აღწერა:

შემადგენლობა: პრობიოტული ბაქტერიები *Lactobacillus rhamnosus* GG ATCC 53103.

შემავსებელი: ზეითუნის ზეთი; ასკორბილპალმიტატი (ანტიოქსიდანტი).

6 წვეთი შეიცავს 6 მილიარდ *Lactobacillus rhamnosus* GG ATCC 53103 ბაქტერიის ცოცხალ კულტურას.

ზეითუნის ზეთი გამოიყენება ოლიგო-ანტიგენური დიეტის დროს (დიეტა ალერგიული ადამიანებისათვის). ზეთში შემავალი ცხიმოვანი მჟავების პროფილი დედის რძის ანალოგიურია. ასკორბილპალმიტატი წარმოადგენს ანტიოქსიდანტს.

კვებითი ღირებულება	100 მლ-ის შემადგენლობა	6 წვეთის შემადგენლობა	12 წვეთის შემადგენლობა
ენერგეტიკული ღირებულება	812 კკალ (3340 კჯ)	2.20 კკალ (9 კჯ)	4.40 კკალ (18 კჯ)
ცხიმები:	86.49 გ	0.23 გ	0.46 გ
ნახშირწყლები:	2.50 გ	0.01 გ	0.02 გ
ბოჭკოები:	7.70 გ	0.02 გ	0.04 გ
ცილა:	2.10 გ	0.01 გ	0.02 გ
მარილი:	<0.003 გ	0.00 გ	0.00 გ
Lactobacillus rhamnosus GG	2.22 x 10 ¹²	6 x 10 ⁹	12 x 10 ⁹
ATCC 53103	კწე*	კწე*	კწე*

კწე* - კოლონიის წარმომქმნელი ერთეული

გამოყენების რეკომენდაცია

აქტივ ფლორა ბების რეკომენდებული სადღეღამისო დოზაა: ჩვილები და 12 წლამდე ასაკის ბავშვები - 6 წვეთი დღეში ჭამის დროს. 12 წელზე უფროსი ასაკის ბავშვები და მოზრდილები - 12 წვეთი დღეში.

არ გადააჭარბოთ რეკომენდებულ დღიურ დოზას.

დიეტური დანამატი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც მრავალფეროვანი დიეტის შემცვლელი, და ის ვერ შეცვლის ჯანსაღი ცხოვრების წესს.

გამოყენება:

მაცივარიდან გამოღების შემდეგ დაელოდეთ რამდენიმე წუთი, სანამ პროდუქტი არ მიაღწევს ოთახის ტემპერატურას. შემდეგ შეანჯღრით ფლაკონი ერთგვაროვანი სუსპენზიის მისაღებად. შეიძლება გამოჩნდეს ბუნებრივი სიმღვრიე. წვეთები უნდა დაემატოს მისაღებ საკვებს ან პირდაპირ ჩაისხათ პირში. არ არის რეკომენდებული პროდუქტის შერევა ძალიან ცივ ან ცხელ საკვებთან.

ანტიბაქტერიული თერაპიის შემთხვევაში რეკომენდირებულია პროდუქტის მიღება

ანტიბიოტიკთან ერთად. ანტიბიოტიკის დასრულების შემდეგ, ნაწლავის მიკროფლორას აღდგენის მიზნით რეკომენდებულია აქტივ ფლორა ბების გამოყენება მომდევნო კვირების განმავლობაში.

დამატებითი ინფორმაცია:

აქტივ ფლორა ბები არ შეიცავს ალერგენულ ნივთიერებებს, როგორცაა ძროხის რძის ცილა, ლაქტოზა, საქაროზა. არ შეიცავს გლუტენს.

სიფრთხილის ზომები და უკუჩვენებები:

არ გამოიყენოთ აქტივ ფლორა ბების ნებისმიერი ინგრედიენტების მიმართ ჰიპერმგრძობელობის შემთხვევაში.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

პროდუქტის გამოყენებისას საჭიროა სპეციალისტისგან კონსულტაციის მიღება. პროდუქტი არ არის განკუთვნილი პარენტერალური გამოყენებისათვის.

შენახვა:

შეინახეთ 2°C- დან 15°C- მდე ტემპერატურაზე, მშრალ, სინათლისგან დაცულ და ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილზე. პირველად გახსნის შემდეგ პროდუქტი უნდა იქნეს გამოყენებული 30 დღის განმავლობაში.

გამოშვების ფორმა: პერორალური წვეთები 5 მლ

მწარმოებელი: შპს კომარკო, პოლონეთი.

პასუხისმგებელი პირი:

Alpen Pharma Poland Sp. z o.o., Aleje Jerozolimskie 151/1 02-326 ვარშავა